

სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესი“-ს ინგლისური ენის უფროსი მასწავლებლის-რუსუდან  
ჩალაურის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა და ანგარიში თემაზე:

## **კარნახის გამოყენება გრამატიკის შესწავლის დროს**

თბილისი

2018

<b>სარჩევი</b>	
შესავალი .....	3
<b>I თავი.</b>	
I.1. პრობლემა და საკვლევი საკითხი.....	4
I.2.ლიტერატურის მიმოხილვა.....	4
<b>II თავი.</b>	
II.1.კარნახი.....	6
II.2კარნახის მიზნები.....	7
II.3გრამატიკის სწავლება კარნახით.....	7
<b>III თავი.კვლევა</b>	
III.1კვლევის მიზანი.....	8
III.2საკვლევი კითხვა.....	9
III.3.სამიზნე ჯგუფი.....	9
III.4.გამოყენებული მიდგომები.....	9
III. 5. შერჩევის ტიპი.....	10
III.6. შერჩეული შემთხვევა.....	10
III.7. მონაცემთა შეგროვების მეთოდები.....	10
III. 8. კვლევის შედეგები და მათი ანალიზი.....	10
<b>IV თავი.ინტერვენციების შემუშავება</b>	
IV.1ინტერვენცია N1.....	12
IV.2ინტერვენცია N2.....	13
IV.3 ინტერვენციების შედეგები.....	14
IV.4 რეკომენდაციები.....	15
<b>V თავი. დასკვნა.....</b>	15
გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.....	17
დანართი 1.....	18
დანართი 2.....	19
<b>VI თავი. რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ.....</b>	20

## შესავალი

დღეისათვის ინგლისური ენის შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანისათვის. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ინგლისური ენის ცოდნის გარეშე თითქმის შეუძლებელია თვითრეალიზება.

დიდი მნიშვნელობა აქვს როგორ მივაწოდებთ ენას სწავლის მსურველებს. დაწყებითსაფეხურზე სწავლების მთავარი ამოცანა ამოსწავლის ინტერესის სტიმულირება, მოტივაციის გაძლიერება. მოზარდებმა უნდა შეიყვარონ ენის სწავლის პროცესი და თვითუცხ ოურიენდაკულტურა. სწავლის პროცესში წარუმატებლობა, მარცხის განცდა უნდა გამოირიცხოს. ამისთვის სწავლების მეთოდიკა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ფსიქოკური განვითარების თავისებურებები და გამოიყენოს სწავლების შესაბამისი ტექნიკები. სხვადასხვა მეთოდოლოგიას ახალ-ახალი მიდგომები მოაქვს სწავლისადმი. მრავალფეროვანი გაკვეთილი უფროსა ინტერესო და შემოქმედებითი ხდება, ეს ახალისებს და აცოცხლებს გაკვეთილის პროცესს, სწავლების ხარისხს.

დღესდღეობით უფრო პრიორიტეტულია სწავლების თანამედროვე მიდგომები. ამ მიდგომების მეშვეობით გაკვეთილი უფრო საინტერესო და მიმზიდველი ხდება მოსწავლეებისთვის. სწორედ თანამედროვე მეთოდების (მაგალითად მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის) და ტექნოლოგიების გამოყენებით არის შესაძლებელი მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება. (Johansson 2010, 1)

უცხოური ენის შესწავლის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება გრამატიკის შესწავლას, რადგან იგი სწავლობს სიტყვათა შეკავშირების წესებს. გრამატიკის შესწავლა ენის შესწავლის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა, რადგან მის გარეშე შეუძლებელია მეტყველება და ელემენტარული კომუნიკაციის დამყარება. ვინაიდან ვსაუბრობთ ენის შესწავლაზე თანამედროვე მეთოდების გამოყენებით და დავძენთ, რომ ენის სწავლება გრამატიკის გარეშე შეუძლებელია, უნდა მოვიძიოთ და განვიხილოთ ისეთი მეთოდები, რომელიც გრამატიკის ეფექტურ ათვისებას უწყობს ხელს.

# I თავი

## I.1 პრობლემა და საკვლევი საკითხი

საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკიდან გამომდინარე, მოსწავლეებს ხშირდ ურთულდებათ გრამატიკული მასალის ათვისება და ხშირად აქვთ ნაკლები მოტივაცია გრამატიკის შესწავლისას. ძალიან ხშირად დგებოდა საჭიროება მომეძიებინა დამატებითი მასალა მათთვის, შემქონდა სახელმძღვანელოები, ვიყენებდი ინტერნეტ რესურსებს და ხშირად გამომიყენებია ვიდეო რგოლებიც კი გრამატიკაზე ვარჯიშის დროს. თუმცა მაინც ვერ ვხდავდი მოსწავლეებში მოტივაციის მომატებას და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას. მოსწავლეების შრომა რუტინულ სახეს იღებდა, რადგან ძირითადად გრამატიკული სავარჯიშოები არის ერთმანეთის მსგავსი. ამიტომ გადავწყვიტე მომეძიებინა ისეთი გზა, რომელიც ხელს შეუწყობდა მოსწავლეთა მხრიდან გრამატიკის ათვისებას და ამავდროულად გაზრდიდა მათ მოტივაციას სწავლისადმი. გავეცანი რამოდენიმე უცხოელი ავტორის სახელმძღვანელოს, თანამედროვე მიდგომებს გრამატიკის სწავლისადმი და აღმოვაჩინე, რომ ძალიან ბევრ ევროპულ ქვეყანაში იყენებენ კარნახს გრამატიკული მასალის განსამტკიცებლად. აღნიშნული მეთოდი სრულიად განსხვავებული იყო იმ კარნახისგან, რაც ჩვენ, ყველას გამოგვიყენებია აქამდე. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე აღნიშნული მეთოდი დამენერგა საკუთარ პრაქტიკაში და ჩამეტარებინა კვლევა თუ რამდენად შეუწყობდა აღნიშნული მეთოდის გამოყენება ხელს გრამატიკის ათვისებას. აქედან გამომდინარე კვლევის მიზანია დაადგინოს კარნახის ეფექტურობა გრამატიკის შესწავლის დროს.

## I.2 ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც უკვე ავღნიშნე, კვლევის დაწყების წინ გავეცანი რამოდენიმე სახელმძღვანელოს, სადაც დეტალურად იყო აღწერილი გრამატიკის როლი ინგლისური ენის შესწავლისას და აღწერილი იყო კონკრეტული აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობდა მოსწავლეთა მხრიდან გრამატიკის ათვისებას.

გრამატიკის სწავლების როლი და მეთოდები მუდმივად იყო თეორეტიკოს და პრაქტიკოს სპეციალისტთა განსჯის საგანიბოლო 50 წლის განმავლობაში. საერთოდ უნდა ვასწავლოთ თუ არა გრამატიკა? რატომ უნდა ვასწავლოთ გრამატიკა? ან როგორ შეიძლება ვასწავლოთ გრამატიკა? ესენი არის ის კითხვები, რომლებიც იყო აქტუალური იმ დროისათვის. (Thornbury, 2010, 23).

ცნება „გრამატიკა“ თავდაპირველად ნიშნავდა „კითხვისა და წერის ხელოვნებას“ და ამდენად იგი განათლების ერთ-ერთი მაჩვენებელი იყო. გრამატიკა ისწავლებოდა როგორც ცალკე საგანი. იგი სწავლების მიზანს წარმოადგენდა. შემდგომ პერიოდში კი ცნებამ „გრამატიკა“ როგორც ენათმეცნიერებაში, ასევე ენების სწავლებისას ახალი შინაარსი შეიძინა:

- ❖ ენის გრამატიკული წყობა
- ❖ ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც გრამატიკულ წყობას შეისწავლიდა
- ❖ სიტყვათა ცვლის წესების ერთიანობა (შესატყვისობა, წინადადება, ტექსტი)

XX საუკუნის ბოლოდან კი „გრამატიკა“ ახალ-ახალი მნიშვნელობით გამოიყენება: თეორიული, აღწერილობითი, ნორმატულ-აღწერილობითი, სასწავლო და დიდაქტიკური.

გრამატიკის როლი უცხოური ენების სწავლებაში იცვლებოდა სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით. ლინგვისტიკის თეორიის ევოლუციის შესაბამისად, უცხოური ენების სწავლების პრაქტიკული შედეგების გათვალისწინებითა და განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ზეგავლენით. იყო მცდელობა გრამატიკის სწავლების როლის შემცირებისა ან სრული იგნორირებისა, რაც დღესაც შეიმჩნევა. უცხოური ენის სწავლების გრამატიკაზე უარის თქმამ ან მისი შესწავლის მნიშვნელობის გაზვიადებამ, გააუარესა უცხოური ენის ფლობის ხარისხი სკოლაში. მეთოდისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უცხოური ენის სწავლების მიზნები, კანონზომიერებანი, სწავლების შინაარსი და მეთოდები სხვა მოთხოვნებს უყენებს გრამატიკას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გრამატიკული მასალა საკმარისი უნდა იყოს უცხოური ენის სწავლების კომუნიკაციური მიზნის განსახორციელებლად. (გიორგობიანი და სხვები 2004, 133-134)

ენა გრამატიკის გარეშე იქნებოდა ქაოტური, უამრავი სიტყვისგან შემდგარი, რომელთა დაწყობა და აზრის გადმოცემა შეუძლებელი იქნებოდა.(Widdowson 1990, 3-4)

ენათმეცნიერთა უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ გრამატიკული მასალის სწავლება მარტივი ერთეულებიდან უნდა დავიწყოთ და ნელ-ნელა გადავიდეთ რთულისკენ. სავარჯიშოები შერჩეული უნდა იყოს მათი ასაკის/განათლების დონის შესაბამისად.(Celce-murcia and Hilles 1988, 21)

## II თავი

### II.1 კარნახი

“კარნახი შესაძლებელია გვახსოვს ჩვენი პირადი მეხსიერებიდანაც, როდესაც მასწავლებელი ორჯერ გვკარნახობდა ტექსტს და ჩვენ მესამე მოსმენისას ვამოწმებდით ტექსტის შინაარსს“ (Davis and Rinvoluceri 1988, 47).

კარნახი ენის სწავლების ღირებულებითი ნაწილია, რომელიც საუკუნეების მანძილზე გამოიყენება. იგი სათავეს იღებს მე-16 საუკუნიდან. კარნახი დიდხანს იყო დაკავშირებული გრამატიკულ-მთარგმნელობით მეთოდთან. თუმცა ენათმეცნიერებს უჭირთ სრულად მიხვდნენ თუ როგორ აადვილებს კარნახი ენის შეთვისებას- რთული ენობრივი კომპეტენციების (შესაძლებლობების) გამოყოფა. მე-20 საუკუნის მეთოდოლოგიები ხშირად ხაზს უსვამენ კარნახის ღირებულებით მხარეს. ერთ-ერთი გავლენიანი ენათმეცნიერი ლეონარდ ბლუმფილდი ხაზს უსვამს კარნახის, როგორც სასწავლო გეგმის ეფექტურობას. დეივის და რინვოლუკერი აღნიშნავენ, რომ „ბერის დეკოდირება და მათი ჩაწერა მთავარი ამოცანაა.“(1988). მონტალვანი წერს, რომ „როგორც კი მოსწავლეები ამჟღავნებენ სმენითი უნარ-ჩვევის განვითარების მნიშვნელობას და აგრეთვე ენის სემანტიკებს შორის ურთიერთობის მნიშვნელობას, ისინი სწავლობენ გრამატიკას“ (1990). დღესდღეობით ბევრი მეთოდოლოგი ეთანხმება ფინოჩიაროს შეჯამებას კარნახის ღირებულების შესახებ: „კარნახი უზრუნველყოფს ყურადღებით მოსმენას, წვრთნის მოსწავლეებს ბგერების განსხვავებაში; ეხმარება პუნქტუაციის ცნების აღნიშვნაში; შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს ზეპირი

ბგერები გადაიტანონ წერილობით სიმბოლოებად; ეხმარება სმენითი გაგების განვითარებაში და საკუთარი თავის შეფასებაში“ (Alkire 2002).

## ***II.2 კარნახის მიზნები***

კარნახის ერთ-ერთი მიზანი არის უზრუნველყოს პრაქტიკა სემანტიკურად გაერთიანებული მეტყველების აგებაში. საწყის დონეზე კარნახი არის ელემენტარული, იმ მარტივი მასალის მიხედვით რაც მათ უკვე ისწავლეს. საშუალო დონეზე, კარნახი არის მნიშვნელოვანი უკვე წაკითხულ, უფრო გრძელ და მეტად განვითარებულ პარაგრაფებში, ორივე დონეზე, კარნახი ეხმარება მოსწავლეებს წინადადების ძირითადი სტრუქტურისა და ლექსიკური მარაგის გაძლიერებაში. ამასთანავე, მასწავლებელი კარნახობს მათ უცნობ ტექსტებს, იმისთვის, რომ მოსწავლეების კარნახის მეშვეობით განუვითარდეთ მოსმენის უნარ-ჩვევა. (Alkire 2002).

ყველა შემთხვევაში კარნახი უნდა შეირჩეს მოსწავლეების შესძლებლობების მიხედვით. ყველა სახის კარნახისთვის საკლასო სახელმძღვანელოები წარმოადგენს სასარგებლო წყაროს, თუმცა მასწავლებელმა შეიძლება მოიძიოს სხვა დამატებითი მასალაც. რაც შეეხება კარნახის დაწყების დროს საგაკვეთილო პროცესის მსვლელობისას, ოპტიმალურად მიჩნეულია გაკვეთილის დასაწყისი, რადგან ამ დროს მოსწავლეების ყურადღება უფრო ადვილად შეიძლება მივმართოთ კარნახისკენ. (Alkire 2002).

## ***II.3 გრამატიკის სწავლება კარნახით***

პედაგოგთა უმრავლესობა ამ თანამედროვე, კომუნიკაციურ ერაში ენის შესწავლის დროს კარნახს განიხილავს როგორც ძველმოდურ და სტერილურ მეთოდს. თუმცა, დღეისთვის არსებობს კარნახის სხვადასხვა ფორმები, რომელთა მეშვეობითაც ენის, კონკრეტულად კი გრამატიკის შესწავლა უფრო ადვილი და სასიამოვნოა მოსწავლეებისათვის. ეს თანამედროვე მიდგომები გამოკვეთენ კარნახის როლს კომუნიკაციის დამყარებაში, ინტერაქციაში და მთლიანად ენის გამოყენებაში.

კარნახის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტური გახდა მას შემდეგ, რაც გამოიცა არაჩვეულებრივი სახელმძღვანელოები (Daves and Rinvolucris” Dictation”; Wajnrub’s “Grammar dictation”). სახელმძღვანელოებში ასახული იყო განსხვავებული სავარჯიშოები, რომლებიც გვთავაზობდა კარნახის სხვადასხვა ვარიაციებს. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ კარნახი განხილული უნდა იყოს როგორც ზოგადი მეთოდი, რომელიც იძლევა განსხვავებული ტექნიკების გამოყენების საშუალებას. ეს სავარჯიშოები არის საინტერესო და მოტივაციის ასამაღლებელი მოსწავლეებისათვის, რადგან ისინი ისეა ორგანიზებული, რომ ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის კომუნიკაციას და ზრდის ენის გამოყენების შესაძლებლობას.(Kidd 1992, 49)

ისმის კითხვა, თუ რატომ შეიძლება იყოს კარნახი, როგორც ზოგადი მეთოდი გამოყენებული გრამატიკის შესასწავლად. Oller (1978) აღნიშნავს, რომ გრამატიკა არის ბირთვი,უნარი, რომ ჩასწვდე საუბრის აზრს, ჩამოაყალიბო ჰიპოთეზა. ამ ყველაფრის უზრუნველყოფა კი მხოლოდ კარნახის მეშვეობითაა შესაძლებელი.იგი უზრუნველყოფს, რომ მოსწავლემ გაიგოს არა მხოლოდ ფორმა, არამედ მნიშვნელობაც, როგორც სემანტიკური, ისე პრაგმატული. კრაშენის მიხედვით კი, (1982) კარნახი გრამატიკის სწავლების დროს მოსწავლეს აძლევს ქვეცნობიერ, ყოვლისმომცველ ცოდნას. კარნახი აგრეთვე მოითხოვს აქტიურ ჩართულობას და ყურადღებას გაკვეთილის მსვლელობის დროს. იგი ხელს უწყობს პროდუქტული და რეცეპტული უნარების განვითარებას. (Kidd1992,50-51)

### **III თავი კვლევა**

#### ***III.1კვლევის მიზანი***

იმისათვის, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის, კონკრეტულად კი მე-5 კლასელი მოსწავლეებისათვის გრამატიკული მასალის ახსნა-განმტკიცება ადარ ყოფილიყო ერთფეროვანი და მხოლოდ ახსნა-შემოწმებაზე დაფუძნებული, გადავწყვიტე მათთვის ახალი მასალის მიწოდებისას გამომეყენებინა თანამედროვე ხერხები და მეთოდები. საჭიროდ ჩავთვალე, რომ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში



გამომეყენებინა და დამემკვიდრებინა კარნახი, როგორც გრამატიკის შესწავლის საუკეთესო გზა. მაშასადამე, აღნიშნული კვლევის მიზანია დაამტკიცოს კარნახის ეფექტურობა გრამატიკის სწავლების დროს. კვლევის დროს დაგეგმილი გაკვეთილები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

- 2.5 ამოცნობს ამბის განვითარებას (როგორ დაიწყო, რა მოხდა, როგორ დამთავრდა);
- 12.2 იცავს ელემენტარულ სინტაქსურ მიმართებებს წინადადების წევრებს შორის (მაგ., ათანხმებს არსებით და ზედსართავ სახელებს რიცხვში/სქესში; ათანხმებს ზმნასა და არსებით სახელს პირსა და რიცხვში);
- 15.5 მონაწილეობს სიმულაციურ სიტუაციაში (მაგ., ინტერვიუს ჩამორთმევა, მაღაზიაში, შეხვედრა ზოოპარკში/ თანატოლთან/ უფროსთან/ კონკურსანტებთან).
- 20.2 გუნდის წევრებთან, მასწავლებელთან ერთად გეგმავს პროექტის განხორციელების ეტაპებს;
- 27.3 გამოთქვამს მოსაზრებებს, უსმენს სხვისას;

### ***III.2 საკვლევი კითხვა***

ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში ეფექტური იქნება თუ არა კარნახის გამოყენება გრამატიკის შესწავლის დროს.

### ***III.3 სამიზნე ჯგუფი.***

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ დაწყებითი საფეხურის მე-5 კლასის მოსწავლეები.

### ***III. 4 გამოყენებული მიდგომები***

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით კვლევა წარმოადგენს შემთხვევის შესწავლას. იგი არის აღწერითი, რომლის მიზანია დააკვირდეს და აღწეროს კვლევის შედეგად მიღებული ტენდენციები. დროის მიხედვით კი არის კროს-სექციური, რადგან ხორციელდება დროის ერთ კონკრეტულ მონაკვეთში, ერთჯერადად.

### ***III.5 შერჩევის ტიპი.***

ვიყენებთ მოსახერხებელ შერჩევას, რომელიც არის არაშემთხვევითი შერჩევის ერთ-ერთი სახე.

### ***III.6 შერჩეული შემთხვევა***

შერჩეული შემთხვევა: ქ.თბილისი, სკოლა-ლიცეუმი „მწიგნობართუხუცესი“. V-კლასი. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაში მონაწილეობას იღებდა 25 მოსწავლე და ერთი მასწავლებელი (მე). კვლევა მიმდინარეობდა 4 თვის მანძილზე. (სექტემბერი-დეკემბერი). ამ პერიოდის განმავლობაში საგაკვეთილო პროცესში ხდებოდა დაკვირვება, რომლის მიზანი იყო იმის დადგენა თუ რამდენად ეფექტურია მოსწავლეთათვის ჩემს მიერ შეთავაზებული აქტივობები გაკვეთილზე, გრამატიკულ მასალაზე ვარჯიშისას.

### ***III.7 მონაცემთა შეგროვების მეთოდები***


მოსწავლეებთან ჩატარდა მასობრივი გამოკითხვის ერთ-ერთი სახე ანკეტირება, რომელიც მოიცავდა დახურულ კითხვებს. ანკეტირება იყო ანონიმური, რათა მოსწავლეთა მიერ დაფიქსირებული პოზიციები ყოფილიყო მაქსიმალურად რეალური.

### ***III.8 კვლევის შედეგები და მათი ანალიზი***

მოსწავლეთა ანკეტირების შედეგად გაირკვა, რომ გამოკითხული 25 მოსწავლისთვის გრამატიკის სწავლა მნიშვნელოვანი, ან ძალიან მნიშვნელოვანია, საბედნიეროდ არ აღმოჩნდა არც ერთი ისეთი მოსწავლე, რომელიც მიიჩნევს, რომ გრამატიკის სწავლა უმნიშვნელოა.


ვფიქრობ ანონიმურმა გამოკითხვამ ხელი შეუწყო მოსწავლეთა მხრიდან გულწრფელობას. 25-დან 17 მოსწავლეს არც ისე მოსწონს გრამატიკულ მასალაზე ვარჯიში, 6 საერთოდ არ მოსწონს, ხოლო 2 ძალიან მოსწონს. (იხ. დიაგრამა 1)

დიაგრამა 1




ასევე გამოკითხვით დადგინა, რომ ჩემს მიერ შეთავაზებული აქტივობები, რომელსაც გრამატიკის ახსნა-განმტკიცებისთვის ვიყენებდი მხოლოდ 7 მოსწავლისათვის იყო საინტერესო, 18 მათგანისთვის კი აქტივობები ნაკლებად საინტერესო იყო, ან საერთოდ არ იყო საინტერესო. (იხ.დიაგრამა 2)

დიაგრამა 2



ასევე გამოკითხული მოსწავლეებიდან ხუთმა არჩია ინდივიდუალურად, ათ-ათმა კი წყვილში და ჯგუფში მუშაობა. (იხ.დიაგრამა 3)

**დიაგრამა 3**



მოსწავლეთა გამოკითხვიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ინტერვენციების შემუშავება და მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში.

## IV თავი ინტერვენციების შემუშავება

### *IV.1 ინტერვენცია NI*

იმისათვის, რომ მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა გამეზარდა გრამატიკულ მასალაზე მუშაობისას-გამოვიყენე აქტივობა, **Gapped(whistle) Dictation-კარნახი** გამოტოვებული სიტყვებით. (Tsukune 2011)

მოსწავლეები გავყავი წყვილებად, დავურიგე სამუშაო ფურცლები და გავაცანი დავალების შესრულების პირობა: მათ უნდა მოისმინონ ჩემს მიერ პაუზებით წაკითხული ტექსტი და ჩასვან არტლები: a, an, the. არტიკლის ჩასმის ადგილს ვანიშნებ ტაშის დაკვრით. წყვილებმა სამუშაო ფურცლებზე უნდა აღნიშნონ თავიანთი ვერსიები.

## Good Luck.

**The** giant panda is already on **the** endangered list. **The** number of pandas in **the** world has been falling for decades. There are several reasons for this. One is that many of **the** panda's forests have gone. They have been cut down to make towns and cities. Another is **the** fact that **the** animal breeds very slowly and has few cubs (baby pandas). **the** panda is now facing another big threat to its survival – **a** shortage of food. **A** new report shows that bamboo, **the** panda's main food, is disappearing because of climate change. Bamboo is pretty much **the** only food **the** panda eats.

მუშაობის დასრულების შემდეგ წყვილები რიგითობის პრინციპით ამბობდნენ თავიანთ ვარიანტს, თუ ერთი წყვილის ვარიანტი იყო არასწორი, მაშინ მეორე წყვილი იმახდა თავის ვერსიას. ამ სავარჯიშოს გამოყენებამ მოსწავლეებში ხალისი შეიტანა.

გარდა არტიკლებისა, შესაძლებელია აღნიშნული ტიპის პრაქტიკული სამუშაო შევასრულოთ როდესაც ვაპირებთ წინდებულის, ნაცვალსახელის ან, თუნდაც მოდალური ზმნების სწავლას. იგი ეფექტურ შედეგს იძლევა როგორც მასალის ახსნის, ისე მისი განმტკიცების დროს.

## V.2 ინტერვენცია N2

გადავწყვიტე მოსწავლეებთან გამომეყენებინა აქტივობა დიქტოგლოსი(Dictogloss)-რომელიც გულისხმობს კარნახით გრამატიკის სწავლებას და შედგება 4 ძირითადი ეტაპისგან:

**მომზადება.** მოსწავლეებისთვის სპეციალურად შევარჩიე მათი დონისათვის განკუთვნილი ტექსტი. გრამატიკული თვალსაზრისით ტექსტი მოიცავდა წარსულ მარტივ დროს. (იხ. დანართი 2). მათ ავუხსენი პროცედურები თუ რა უნდა გაეკეთებინათ თითოეულ ეტაპზე. ასევე ვასწავლე რამოდენიმე სიტყვა, რომელიც შესაძლოა არ სცოდნოდათ და დავანაწილე ჯგუფებად.

**კარნახი.** საშუალო სიჩქარით დავიწყე ტექსტის კარნახი. წინადადების დასრულების შემდეგ ვაკეთებდი ხანგრძლივ პაუზას, პირველად მოსმენის დროს მოსწავლეები არაფერს იწერდნენ, მათი მოვალეობა იყო ტექსტის შინაარსის გაგება. მეორედ მოსმენის

დროს მათ მონიშნეს ისეთი მნიშვნელოვანი სიტყვები და გრამატიკული ერთეულები, რომლებიც ტექსტის მთლიანობის აღდგენაში დაეხმარებოდათ.

**აღდგენა** (რეკონსტრუქცია). კარნახის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა იმუშავეს ჯგუფებში. დააკვირდნენ ჩაწერილ მინიშნებებს ტექსტის მთლიანობის აღსადგენად. ჯგუფიდან ერთი წევრი იწერდა ჯგუფში გამოთქმულ მოსაზრებებს, რათა მარტივად აღედგინათ კარნახით მოსმენილი ტექსტის შინაარსი. მოწმდებოდა გრამატიკულისისწორე, ტექსტის კოჰეზიურობა და ლოგიკური თანმიმდევრობას. მე ამ პროცესს ვაკვირდებოდი, თუმცა არ ვერეოდი მასში.

**ანალიზი და გასწორება.** ანალიზის ფაზაში თითოეული გუნდიდან გამოდიოდა მოსწავლე და დაფაზე წერდა თითო წინადადებას მათ მიერ აღდგენილი თანმიმდევრობის მიხედვით. მეორე ჯგუფის წარმომადგენლები ადარებდნენ თავიანთ ვერსიას. ტექსტის ორიგინალი ვერსია არ ვაჩვენე იქამდე, სანამ ყველა წინადადება არ იქნა მოსწავლეების მიერ განხილული. ტექსტის ჩვენების შემდეგ მოსწავლეებს შორის გაიმართა დისკუსია, თუ რომელი ჯგუფის ვერსია იყო უფრო ახლოს ორიგინალ ტექსტთან.

### ***IV.3 ინტერვენციების შედეგები***

ზემოთ აღნიშნული ინტერვენციების შედეგად გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია. ისინი უფრო ხალისით ეკიდებოდნენ დავალების შესრულებას, მოსწონდათ ჯგუფებში და წყვილებში მუშაობა, გამოუმუშავდათ თანამშრომლობითი უნარები. ყოველი ასეთი გაკვეთილის დასრულების შემდეგ მითანხმდებიან რომ შემდეგ კვირაშიც მსგავსი მეთოდები გამოვიყენოთ გრამატიკის სწავლის დროს. ასევე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გაიზარდა მათი აკადემიური მაჩვენებელი-რაც გამოიხატა მათ მიერ შესრულებულ როგორც საკლასო, ისე სამონიტორინგო წერებში. რაც ვფიქრობ განაპირობა ჩემს მიერ გამოყენებულმა თანამედროვე მეთოდებმა, მოსწავლეთა ჩართულობამ და დამოკიდებულების შეცვლამ ინგლისური ენის გრამატიკისადმი.

#### *IV.4 რეკომენდაციები*

აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით შევიმუშავე რეკომენდაციები, რომელსაც რა თქმა უნდა გავითვალისწინებ სამომავლოდ სხვა კლასებთან მიმართებაში. გარდა ამისა აღნიშნული რეკომენდაციები შესაძლოა გამოადგეს ყველა დაინტერესებულ მასწავლებელს, რომლის მიზანიც არის გრამატიკის შესწავლა კარნახის გამოყენებით.

- ❖ მასწავლებელმა მეტი ყურადღება გაამახვილოს კარნახის გამოყენებაზე გრამატიკული მასალის ათვისების დროს, რადგან მოსწავლე ამ დროს აქტიურადაა ჩართული საგაკვეთილო პროცესში.
- ❖ აუცილებელია გამოიყენოს ჯგუფური მუშაობისა და წყვილში მუშაობის ფორმები, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა შორის ურთიერთობას/კომუნიკაციას.
- ❖ კარნახისათვის შეიტანოს ისეთი ტექსტები რომელიც ეყრდნობა რეალურ სიტუაციებს, ახლოს არის მოსწავლეთა ინტერესებთან და შეესაბამება მათ ენობრივ დონეს.
- ❖ მისცეს უფლება მოსწავლეებს შეუსწორონ ერთმანეთს ნამუშევარი, თავად კი დააკვირდეს პროცესს, მონიშნოს შეცდომები და მხოლოდ გაკვეთილის ბოლოს მისცეს უკუკავშირი.

#### **V თავი დასკვნა**

პედაგოგიური საქმიანობის დაწყებიდან ძალიან მალე აღმოვაჩინე, რომ თანამედროვე სახელმძღვანელოების უდიდეს ნაწილში გრამატიკული მასალა ძალიან მცირე რაოდენობით იყო შეტანილი, ამიტომ მიწევდა დამატებითი სახელმძღვანელოების მოძიება და მათი გამოყენება სასწავლო პროცესის დროს. თუმცა, მინდა ვთქვა, რომ სახელმძღვანელოებში მოცემული აქტივობები ხშირ შემთხვევაში მოსწავლეებისთვის არ იყო საინტერესო და მრავალფეროვანი. ამიტომ, გადავწყვიტე გავცნობოდი სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელებულ გრამატიკის სწავლების ახალ, საინტერესო მიდგომებს და დამენერგა ისინი პედაგოგურ პრაქტიკაში. მოვიძიე ინფორმაცია კარნახის როლზე გრამატიკის შესწავლის დროს და დავიწყე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა. როგორც ზემოთ განხილული თეორიული მასალიდან და ჩატარებული კვლევიდან გამოირკვა, საკმაოდ მნიშვნელოვანია გრამატიკის როლი ინგლისური ენის შესწავლის დროს.

ხოლო კარნახი არის ერთ-ერთი თანამედროვე ხერხი გრამატიკის შესასწავლად, რომელიც იძლევა უკეთეს ეფექტს სხვა სავარჯიშოებთან შედარებით.

რაც შეეხება კვლევის შედეგად მიღებულ სარგებელს, შეიძლება ითქვას, რომ კვლევის ფარგლებში მოხდა დასახული მიზნის მიღწევა. საკუთარი პრაქტიკის კვლევის შედეგებიდან კი დადგინდა, რომ, კარნახის გამოყენება გრამატიკის შესწავლის დროს არის ეფექტური. ეფექტურობაში კი იგულისხმება ის, რომ გაიზარდა მოსწავლეების ცოდნის დონე გრამატიკის სწავლების მხრივ, განუვითარდათ კომუნიკაციური უნარები, მიეჩვივნენ მუშაობის ფორმებს როგორც ჯგუფში- ასევე წყვილში, აუმაღლდათ მოტივაცია და გაკვეთილი გახდა უფრო საინტერესო. გაიზარდა ასევე მათი აკადემიური მაჩვენებელი. თუმცა კვლევაზე მუშაობის დროს იყო ხარვეზები: დაკვირვების საწყის ეტაპზე პირობის გასაგებად და აქტივობის დასაწყებად იხარჯებოდა იმაზე მეტი დრო ვიდრე გათვლილი იყო. ტექსტის კარნახი მიწვედა არა 2 ჯერ, არამედ უფრო მეტჯერ, სანამ ბავშვები მიეჩვიოდნენ ახალი აქტივობების სტრუქტურას. ასევე მოსწავლეებისთვის უჩვეულო იყო გრამატიკულ მასალაზე ვარჯიშის დროს ჯგუფური მუშაობა და ერთმანეთის ნაშრომის გასწორება. დროთა განმავლობაში კი მათთვის ამ ფორმით მუშაობა უცხო აღარ იყო, პირიქით, ისინი სიხარულით ელოდებოდნენ გაკვეთილის დაწყებას და სიამოვნებდათ გრამატიკული მასალის როგორც ახსნა, ისე შემოწმება. მომავალში აუცილებლად დავნერგავ აღნიშნულ მეთოდს სხვა კლასებთანაც.

ვფიქრობ, კვლევამ არა მხოლოდ გაზარდა ბავშვების ჩართულობა, მოტივაცია და აკადემიური მოსწრება, არამედ მეც განმავითარა პროფესიულად, რადგან მომიხდა საინტერესო ლიტერატურის გაცნობა, ახალი სტრატეგიების შემუშავება. ვფიქრობ, რომ კვლევაში აღწერილი მეთოდების გამოყენება შეუძლია ნებისმიერი დაწყებითი საფეხურის ინგლისურის მასწავლებელს, თუკი შეარჩევს მისი ჯგუფის შესაფერის ტექსტებს საკარნახებლად.



## გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი

1. გორგობიანი, ლ; ლ. კახიშვილი; გ. მაცხონაშვილი; რ. ქვლივიძე. 2004. *უცხოური ენების სწავლების თეორია და მეთოდოლოგია*. თბილისი: “ენა და კულტურა“.
2. Alkire, Scott. 2002. Dictation as a language learning device. *The Internet TESL Journal*. Vol.7. No, 3.(March)<http://iteslj.org/Techniques/Alkire-Dictation.html>(20.10.2017)
3. Celce-Murcia, Mariane; Hilles, Sharon. 1988. *Techniques and resources in teaching grammar*. Oxford: Oxford university press
4. Daves, Paul, and Mario Rinvolucri. 1998. *Dictation-new methods, new possibilities*. Cambridge: Cambridge university press.
5. Kidd, Richard. 1992. Teaching ESL grammar through dictation. *The TESL Canada Journal*.Vol. 10. No 4. <http://files.eric.ed.gov/fulltext/EJ457629.pdf> ( 9.11.2017)
6. Oller, W. 1993. Using creative dictation, to manage, motivate and educate large groups of false beginners.*Fukuoka women's junior college studies*. Vol 45.<http://www2.gol.com/users/norris/articles/dict.html> (1. 12.2017)
7. Thurnbury, Scott. 2010. *How to teach grammar*.Harlow: Pearson Longman
8. ....2010. *How to teach speaking*.Harlow: Pearson Longman
9. Tsukune, Ashraf. 2011.Dictation. *08.03*. <http://www.scribd.com/doc/50288127/Dictation> (3.11.2013)
10. <http://www.breakingnewsenglish.com/1211/121113-bamboo-articles.htm>(9.11.2017)
11. Widdowson, H.G. 1990. *Aspects of language learning*. Oxford: Oxford university press

## დანართი 1

კითხვარი მოსწავლეთათვის გამარჯობა, მევარსკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესი“-ს ინგლისური ენის მასწავლებელი რუსუდან ჩალაური. გრამატიკული მასალის ეფექტურად ახსნა-განმტკიცების მიზნით ვაწარმოებ პედაგოგიურ კვლევას, რომლის ფარგლებში გამოვიკითხავ ამავე სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეებს. თქვენი პასუხები დამეხმარება უკეთ შევისწავლო აღნიშნული საკითხი.

გთხოვთ, იყოთ მაქსიმალურად გულახდილნი. კითხვარი ანონიმურია.

**1. რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ გრამატიკის სწავლა ინგლისური ენის ათვისების დროს?**

- ა. ძალიან მნიშვნელოვანია
- ბ. მნიშვნელოვანია.
- გ. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

**2. მომწონს გრამატიკულ მასალაზე მუშაობა:**

- ა. ძალიან
- ბ. არც ისე
- გ. საერთოდ არა

**3. გრამატიკული მასალის ახსნა-განმტკიცების მიზნით მასწავლებლის მიერ**

**შემოთავაზებული აქტივობები :**

- ა. საინტერესოა
- ბ. ნაკლებად საინტერესოა
- გ. არ არის საინტერესო

**4. გრამატიკაზე ვარჯიშისას მსურს ვიმუშაო:**

- ა. ინდივიდუალურად.
- ბ. მეწყვილესთან ერთად.
- გ. ჯგუფებში.

## දාන්ත 2

Mrs. Wilson and Mrs. Smith are sisters. Mrs. Wilson lives in a house in Duncan and Mrs. Smith lives in a condominium in Victoria. One day Mrs. Wilson visited her sister. When her sister answered the door, Mrs. Wilson saw tears in her eyes. "What's the matter?" she asked. Mrs. Smith said "My cat Sammy died last night and I have no place to [bury](#) him".



She began to cry again. Mrs. Wilson was very sad because she knew her sister loved the cat very much. Suddenly Mrs. Wilson said "I can bury your cat in my garden in Duncan and you can come and visit him sometimes." Mrs. Smith stopped crying and the two sisters had tea together and a nice visit.



It was now five o'clock and Mrs. Wilson said it was time for her to go home. She put on her hat, coat and gloves and Mrs. Smith put the dead Sammy into a shopping bag. Mrs. Wilson took the shopping bag and walked to the bus stop. She waited a long time for the bus so she bought a newspaper. When the bus arrived, she got on the bus, sat down and put the shopping bag on the floor beside her feet. She then began to read the newspaper. When the bus arrived at her bus stop, she got off the bus and walked for about two minutes. Suddenly she remembered she had left the shopping bag on the bus.

## რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ

კვლევის შედეგები გავაცანი კოლეგებს ინგლისური ენის კათედრის სხდომაზე. გავაკეთე ზეპირი პრეზენტაცია კვლევასთან დაკავშირებით. სლაიდ-შოუს მეშვეობით ვაჩვენე ძირითადი მასალა: დიაგრამები, ასევე ანკეტირების ნიმუში. კოლეგებს ასევე წარვუდგინე იმ ტექსტების ნიმუშები, რომლებსაც ვიყენებდი გაკეთილზე გრამატიკული მასალის განსამტკიცებლად. ავლნიშნე, რომ გაუმჯობესდა მოსწავლეთა აკადემიური მაჩვენებელი. მოხდა მათი მეტად ჩართვა საგაკვეთილო პროცესში. კოლეგების დიდმა ნაწილმა ჩემს მიერ გამოყენებულ მეთოდებს დადებითი უკუკავშირი გაუკეთა. რამოდენიმე კოლეგამ გააკეთა აღნიშნა, რომ აღნიშნული ატივობები დროის მომცველი იქნებოდა-დაჭირდებოდა იმაზე მეტი დრო ვიდრე განკუთვნილი ჰქონდათ გრამატიკულ მასალაზე ვარჯიშისთვის. ასევე თქვეს, რომ შესაძლოა ჯგუფში მუშაობას გამოეწვია ხმაური. მე დავეთანხმე მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას და ავლნიშნე, რომ საწყის ეტაპზე მართლაც იჩინა თავი მსგავსმა პრობლემებმა, თუმცა თანდათან ბავშვები მიეჩვივნენ ასე მუშაობას და გაკვეთილზე მსგავსი ტიპის სირთულეები აღარ არსებობს. კოლეგებმა აღნიშნეს, რომ ეცდებოდნენ კარნახის გამოყენებას გრამატიკულ მასალაზე ვარჯიშისას, მე გამოვთქვი თანამშრომლობის და დახმარების სურვილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.